

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი და ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი თავიანთი ბიზნესსაქმიანობის შედეგებს აქვეყნებენ პრესრელიზის სახით. ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი აზერი-ჩირაგ-გუნაშლის საბადოს ოპერატორი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მმართველი და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების საერთო ოპერატორია. ბიპი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი შაჰ დენიზის საბადოს ოპერატორია. თითოეული ამ საწარმოთაგანი გვაწვდის მათი პროექტების შესაბამის ინფორმაციას, და აკეთებს განცხადებებს თავიანთი პროექტების შესახებ.



ინფორმაცია ბიზნესსაქმიანობის შესახებ 2021 წლის შედეგები

2022 წლის 10 თებერვალი

აზერი-ჩირაგ-გუნაშლი (ACG)

ACG-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (30.37%), SOCAR (25.0%), MOL (9.57%), INPEX (9.31%), Equinor (7.27%), ExxonMobil (6.79%), TPAO (5.73%), ITOCHU (3.65%), ONGC Videsh Limited (OVL) (2.31%).

ბიპი ექსპლორეიშენ (კასპიის ზღვა) ლიმიტედი ACG-ის ოპერატორია, ACG-ის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების სახელით.

2021 წლის განმავლობაში, ACG-ის საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი დაახლოებით 533 მილიონი აშშ დოლარი იყო, ხოლო კაპიტალური დანახარჯი კი 1,660 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა.

წლის განმავლობაში, Azeri Central East-ის (ACE) პროექტი გეგმის მიხედვით მიმდინარეობდა, ბიპი-ს სხვა პროექტების მსგავსად.

ბაქოში წლის ბოლოს ჩამოვიდა ძირითადი მოწყობილობების ბოლო ტვირთები და ამით დასრულდა ყველა საჭირო მოწყობილობის მიღება პროექტის ფარგლებში.

ACE-ს პლატფორმის წყლისზედა და საბურღი მოწყობილობების სამუშაოები გაგრძელდა ბიბი-ჰეობათის საწარმოო ეზოში. გაგრძელდა მექანიკური პაკეტის ინსტალაცია, მილების აღმართვა და ჰიდროტესტირება, კაბელის გაყვანა. საცხოვრებელი მოდულები დამონტაჟდა. საბურღი მოწყობილობების გაშვება დაიწყო და 2022 წელსაც გაგრძელდება.

ჰეიდარ ალიევის სახელობის ბაქოს ღრმაწყლების გარსაცმის ქარხანაში გაგრძელდა გარსაცმის მშენებლობა და კომპურის აწყობა. მილგამყვანი ბარჟის საშუალებით დაიწყო ACE-ს ნავთობის და გაზის მილების ჩაწყობა.

2021 წლის ბოლოს, ACE პროექტზე სამუშაოების 65% დასრულდა. ამჟამად პროექტის პიკზე დასაქმებულია 5500 ადამიანი, მათ შორის დიდი ბრიტანეთიდან და ევროპის ქვეყნებიდან, უმეტესწილად კი აზერბაიჯანის მოქალაქეები.

ზოგადად, საინჟინრო, შესყიდვის და წარმოების სამუშაოები გრაფიკის მიხედვით გრძელდება, რაც ხელს უწყობს ACE-ის პროექტიდან პირველი გაზის მიღებას 2023 წელს.

წარმოება

წლის განმავლობაში, ACG-მ გააგრძელა უსაფრთხო და საიმედო წარმოება. მთლიანად ACG-მ წლის განმავლობაში საშუალოდ დღეში 458,000 ბარელი ნავთობი აწარმოა. (ჯამში 167 მილიონი ბარელი ანუ 23 მილიონი ტონა) შემდეგი პლატფორმებიდან: ჩირაგიდან (27,000 ბ/დ), ცენტრალური აზერიდან (109,000 ბ/დ), დასავლეთ აზერიდან (116,000 ბ/დ), აღმოსავლეთ აზერიდან (76,000 ბ/დ), გუნემლის ღრმაწყლებიდან (86,000 ბ/დ) და დასავლეთ ჩირაგიდან (44,000 ბ/დ).

2021 წლის 18 სექტემბერს, ACG-მ წარმოების დაწყებიდან 4 მილიარდი ბარელი ნავთობი აწარმოა.

წლის ბოლოს, 135 ჭაბურღილი აწარმოებდა ნავთობს, აქედან 29 ჭაბურღილი წყლის და რვა კი გაზის ინიექციისათვის იყო გამოყენებული.

ბურღვა და პროექტების დასრულება

2021 წლის მანძილზე, ACG-მ დაასრულა 10 ნავთობის მწარმოებელი და ოთხი წყლის ინიექციის ჭაბურღილი.

ასოცირებული გაზი

წლის განმავლობაში, ACG-მ აზერბაიჯანს საშუალოდ დღეში 9 მილიონი კუბური მეტრი ასოცირებული გაზი მიაწოდა (ჯამში 3 მილიარდი კუბური მეტრი). ძირითადად სანგაჩალის ტერმინალზე, ასევე სოკარის ნავთობის ქანების ობიექტზე. წარმოებული ასოცირებული გაზის ნარჩენის რეინიექცია განხორციელდა რეზერვუარში წნევის შესანარჩუნებლად.

სანგაჩალის ტერმინალი

2021 წლის განმავლობაში, ACG-ის და Shah Deniz-ის საბადოებიდან მოპოვებული ნავთობი და გაზი ზღვისქვეშა მილსადენებით სანგაჩალის ტერმინალისკენ მიედინებოდა.

ტერმინალს ამჟამად დღეში 1.2 მილიონი ბარელი ნედლი ნავთობის და კონდენსატის გადამუშავება და შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული დაახლოებით 81 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზის გადამუშავება შეუძლია. თუმცა საერთო ჯამში ტერმინალის გაზის გადამუშავების და ექსპორტის სიმძლავრე, ACG-ს ასოცირებულ გაზთან ერთად დაახლოებით დღეში 100 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრია.

2021 წლის მანძილზე სანგაჩალის ტერმინალმა 231 მილიონზე მეტი ბარელი ნავთობის და კონდენსატის ექსპორტი განახორციელა. მათ შორის, 200 მილიონი ბარელი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გავლით და 31 მილიონზე მეტი ბარელი დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის (ბაქო-სუფსის) გავლით.

გაზის ექსპორტი განხორციელდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის, სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების სისტემის და აზერბაიჯანის მილსადენების საშუალებით, რომელიც სანგაჩალის ტერმინალის გაზის გადამამუშავებელ მოწყობილობებს აზერიგაზის ეროვნულ გამანაწილებელ სისტემასთან აკავშირებს.

წლის განმავლობაში, ტერმინალიდან დღეში საშუალოდ 61 მილიონ სტანდარტულ კუბურ მეტრზე მეტი შაჰ-დენიზის გაზი გადიოდა. (დაახლოებით 2,166 მილიონ სტანდარტულ კუბურ ფუტზე მეტი).

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (BTC)

The BTC Co.-ს აქციონერები არიან: bp (30.1%); AzBTC (25.00%); MOL (8.90%); Equinor (8.71%); TPAO (6.53%); Eni (5.00%); Total Energies (5.00%), ITOCHU (3.40%); INPEX (2.50%), ExxonMobil (2.50%) and ONGC (BTC) Limited (2.36%).

2021 წლის განმავლობაში, BTC-ს საქმიანობის ფარგლებში ჩვენი საოპერაციო დანახარჯი 119 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი 34 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა.

2021 წლის 12 დეკემბერს, BTC-მ 500 მილიონი ტონა ნავთობის ექსპორტი განახორციელა ბაქოს სიახლოვეს მდებარე სანგაჩალის ტერმინალიდან აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის გავლით ჯეიჰანის ტერმინალამდე.

1768კმ სიგრძის მილსადენმა 2006 წლის ივნისში ფუნქციონირების დაწყებიდან 2021 წლის ბოლომდე ჯამში 3.77 მილიარდი ბარელი ნედლი ნავთობი გაატარა (502 ტონაზე მეტი), რომელითაც 4,939 ტანკერი დაიტვირთა და გაიგზავნა მსოფლიო ბაზრებზე.

2021 წლის განმავლობაში, დაახლოებით 200 მილიონი ბარელი (26.4 მილიონ ტონაზე მეტი) ბი-თი-სი-ს მიერ ექპორტირებული ნედლი ნავთობი ჯეიჰანის ტერმინალზე 280 ტანკერში ჩაიტვირთა.

ბი-თი-სი ამჟამად ძირითადად აზერბაიჯანიდან ACG-ის ნედლი ნავთობის და შაჰ-დენიზის კონდენსატის ტრანსპორტირებას ახორციელებს. ბი-თი-სი-ს საშუალებით ასევე გრძელდება ნედლი ნავთობის და კონდენსატის სხვა მოცულობების ტრანსპორტირება, მათ შორის თურქმენეთიდან, რუსეთიდან და ყაზახეთიდან.

შაჰ-დენიზი

Shah Deniz-ის წილობრივი მონაწილეობა: bp (operator – 28.8%), TPAO (19.0%), PETRONAS (15.5%), AzSD (10.0%), LUKOIL (10.0%), NICO (10.0%), SGC Upstream (6.67%),

2021 წლის განმავლობაში, შაჰ-დენიზის საოპერაციო დანახარჯმა 2 მილიარდზე მეტი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო კაპიტალური დანახარჯი 680 მილიონ აშშ დოლარს აღემატა, მათ შორის უმეტესი შაჰ-დენიზ 2-ის პროექტთან იყო დაკავშირებული.

2021 წელს შაჰ-დენიზმა იუბილე იხეიმა, 25 წელი მას შემდეგ რაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას შაჰ-დენიზის პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ. 1996 წლის 4 ივნისს შედგა ხელმოაწერა სოკარსა და უცხოური კომპანიების კონსორციუმს შორის, პროდუქციის წილობრივი განაწილების შესახებ. მოხდა ხელშეკრულების რატიფიკაცია მილი მეჯლისის მიერ და იმავე წლის 17 ოქტომბერს ხელშეკრულება ძალაში შევიდა. შაჰ-დენიზის 25 წლის იუბილე მნიშვნელოვანი ეტაპია აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის უახლეს ისტორიაში.

წარმოება

წლის განმავლობაში შაჰ-დენიზის საბადომ განაგრძო გაზის მიწოდება ბაზრებისთვის აზერბაიჯანში (აზერკონტრაქტისთვის), საქართველოში (საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციისთვის), თურქეთში (ბოტაშისთვის) და კომპანია BTC-სთვის სხვადასხვა ლოკაციებზე და მყიდველებისთვის ევროპაში.

2021 წლის მანძილზე საბადომ ჯამში 23 მილიარდზე მეტი სტანდარტული კუბური მეტრი გაზი აწარმოა და დაახლოებით 4 მილიონი ტონა (34 მილიონი ბარელი) კონდენსატი შაჰ-დენიზ ალფა და შაჰ-დენიზ ბრავო პლატფორმებიდან.

შაჰ-დენიზის არსებული მოწყობილობების საწარმოო სიმძლავრე ამჟამად დღეში დაახლოებით 72 მილიონი სტანდარტული კუბური მეტრი გაზის წარმოებაა, რაც წელიწადში 26 მილიარდ კუბურ მეტრს აღემატება.

პროექტი შაჰ-დენიზ 2

აღმოსავლეთ სამხრეთის ფლანგმა 2021 წლის მეორე კვარტალში უსაფრთხოდ დაიწყო წარმოება და წლის განმავლობაში სრულ სიმძლავრეს მიაღწია. შედეგად 2021 წლის ივლისში შაჰ-დენიზ ბრავო პლატფორმის წარმოება პირველად გაუტოლდა შაჰ-დენიზ ალფა პლატფორმის წარმოების ნიშნულს.

რაც შეეხება დასავლეთ სამხრეთის ფლანგს, საერთო ჯამში, მისი სამონტაჟო სამუშაოები გეგმის მიხედვით მიმდინარეობს და წარმოების დაწყება 2022 წლისთვის არის დაგეგმილი.

2021 წელს შაჰ-დენიზ 2-ის პროექტის ფარგლებში ჩრდილოეთის ფლანგის მე-5 ჭაბურღილიდან წარმოება დაიწყო. ეს იყო კასპიის ზღვაში მწარმოებელ წყალქვეშა მაგისტრალთან შემავსებელი ჭაბურღილის მიერთების პირველი შემთხვევა. სამუშაოები უსაფრთხოდ დასრულდა მწარმოებელი ჭაბურღილების მუშაობის შეფერხების გარეშე.

ბურღვა

წლის განმავლობაში შაჰ-დენიზის ალფა პლატფორმის საბურღი დანადგარი სრული დატვირთვისთვის მზადყოფნის რეჟიმში მუშაობდა.

საბურღი დანადგარების საშუალებით საერთო ჯამში 21 ჭაბურღილის ბურღვა დასრულდა და აქედან 19 შაჰ-დენიზ 2-ის წარმოებისთვის და წარმოების შემდგომი ზრდისთვის განხორციელდა. დასრულებულ ჭაბურღილებში შედის ხუთი ჭაბურღილი ჩრდილოეთის ფლანგზე, ოთხი დასავლეთის, ოთხი აღმოსავლეთ-სამხრეთის, სამი დასავლეთ-სამხრეთის და ორი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე. ერთი ჭაბურღილი დასავლეთ-სამხრეთის ფლანგზე და ერთი აღმოსავლეთ-ჩრდილოეთის ფლანგებზე საბოლოო სიღრმემდე გაიბურღა და დროებით შეჩერდა.

სამხრეთ კავკასიის მილსადენი

The SCP Co-ს აქციონერები არიან: bp (28.83%), TPAO (19.0%), PETRONAS (15.5%), AzSCP (10.0%), NICO (10.0%), LUKOIL (10.0%), SGC Midstream (6.67%).

2021 წლის განმავლობაში, SCP-ს საოპერაციო დანახარჯი ჯამში დაახლოებით 54 მილიონი აშშ დოლარი იყო და კაპიტალური დანახარჯი კი დაახლოებით 12 მილიონი აშშ დოლარი.

SCP 2006 წელს შევიდა ექსპლუატაციაში და შაჰ-დენიზის გაზს აწვდის აზერბაიჯანს, საქართველოს და თურქეთს. მილსადენის გაფართოების პროექტის შედეგად თურქეთისთვის გაზის კომერციული მიწოდება 2018 წლის ივნისში დაიწყო და ევროპისთვის კი 2020 წლის დეკემბერში.

2021 წლის განმავლობაში, SCP-ის გაზის საშუალო გატარება იყო 48.5 მილიონი კუბური მეტრი დღეში.

2021 წლის 1 აგვისტოს დასრულდა სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიის ტექნიკური ოპერატორის როლის გადაცემა კომპანია ბი-პი ექსპლორეიშენ (შაჰ დენიზ) ლიმიტედი-დან კომპანია სოკარ მიდსთრიმ ოპერეიშენს ლიმიტედ-ზე.

გარდამავალი პერიოდი რომელიც დაიწყო 2020 წლის მარტში წარმატებით დასრულდა 2021 წლის ივლისში. მიუხედავად COVID-19 გამო წარმოქმნილი გამოწვევებისა ბი-პი და სოკარი მჭიდროდ თანამშრომლობდნენ რათა ეფექტურად განეხორციელებინათ გარდამავალი პროცესის ყველა ასპექტი.

ტექნიკური ოპერატორობის გადაცემა განხორციელდა მილსადენის მფლობელთა განახლებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, რომელსაც ხელი 2013 წლის დეკემბერში მოეწერა, და ის შაჰ დენიზის მეორე ეტაპის და სამხრეთ კავკასიის მილსადენის გაფართოების პროექტის შესახებ საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილების ნაწილია.

სადიებო სამუშაოები

2021 წლის მარტში შაფაგ-ასიმანის საზღვაო ბლოკზე დასრულდა ბურღვის სამუშაოები პირველ საექსპლუატაციო ჭაბურღილზე, ფასილას რეზერვუარის საბაზისო დონეზე, 7189 მეტრის სიღრმეზე. არსებული რესურსების შეფასება მიმდინარეობს შემდეგი ნაბიჯების დასაგეგმად.

მეჩხერწყლიანი აბშერონის ნახევარკუნძულის 'ჩრდილოეთ ხალის' არეალში პირველი სადიებო ჭაბურღილი 2021 წლის დეკემბერში დასრულდა. თავდაპირველი პროექტის და გეგმის მიხედვით ჭაბურღილი დაიხურა და მიმდინარეობს მონაცემების შესწავლა. მეორე ჭაბურღილი 2021 წლის 11 დეკემბერს მოეწყო 'ბიბი ჰაიბატის' არეალში. საბურღი სამუშაოები ამჟამად 2470 მეტრის სიღრმეზე მიმდინარეობს. წელს დაგეგმილია მესამე ჭაბურღილის მოწყობა.

თანამშრომლები

2021 წელს კომპანიაში 231 საქართველოს მოქალაქე იყო დასაქმებული.

ბი-პი საქართველოს თანამშრომლების 99%-ზე მეტი საქართველოს მოქალაქეა.

ბი-პი-ს ძალისხმევა მიმართულია თანამშრომლების სწავლების და განვითარების პროგრამების ოპტიმიზაციისკენ და კომპანია აქტიურ მონაწილეობას მიიღებს

საზოგადოებრივი და კერძო სექტორის ინიციატივებში, რათა წვლილი შეიტანოს ადგილობრივი ტალანტის ბაზრის განვითარებაში.

სოციალური ინვესტიციები

საქართველოში, ისევე როგორც კასპიის რეგიონში, ბი-პი-ს პროექტების წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ოპერატორის შესაძლებლობაზე ხელშესახები სარგებელი მოუტანოს რეგიონის მოსახლეობას. ამის მისაღწევად ბი-პი და მისი პარტნიორები აგრძელებენ მნიშვნელოვანი სოციალური საინვესტიციო პროექტების განხორციელებას. ძირითადი მომართულებებია: ადგილობრივი მოსახლეობის განათლება, მათი უნარ-ჩვევების და შესაძლებლობების ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. მათ მიერ მცირე ბიზნესის წამოწყების და განვითარების ხელშეწყობა დაფინანსების წყაროების და ტრენინგების საშუალებით. ასევე კულტურული მემკვიდრეობის და სპორტის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ტექნიკური მხარდაჭერა.

2021 წლის მანძილზე, ბი-პი-მ და პარტნიორებმა, რომლებიც იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერები არიან, რომელთა ოპერატორიც ბი-პი-ა, საქართველოში განხორციელებულ სოციალურ პროგრამებში და პროექტებში 1.3 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელეს.

ბი-პი და მისი პარტნიორები, რომლებიც იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერები არიან, რომელთა ოპერატორიც ბი-პი-ა, საქართველოში გააგრძელებენ სოციალურ პროგრამებში და პროექტებში ინვესტიციის განახორციელებას.

ქვემოთ მოცემულია საქართველოში განხორციელებული სოციალური ინვესტიციების პროექტების ზოგიერთი მაგალითი:

- ბი-პი-მ (იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერების სახელით, რომელთა ოპერატორიც საქართველოში ბი-პი-ა) დაასრულა ადგილობრივი მოსახლეობის განვითარების ინიციატივის მე-6 ფაზის განხორციელება ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის მილსადენების გასწვრივ მცხოვრებ 98 თემში. მე-6 ფაზის ბიუჯეტი დაახლოებით 1.6 მილიონი აშშ დოლარია და მისი განხორციელება 2018 წლის აგვისტოში დაიწყო და 2021 წლის დეკემბერში დასრულდა.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ადგილობრივი თემების გააქტიურებას და მათ ჩართულობას ისეთი პროექტების განხორციელებაში, რომლებიც მათი თემის საერთო ინტერესებს ემსახურება. პროგრამის ფარგლებში ასევე პრიორიტეტული იყო ბიზნეს-

შესაძლებლობების ხელშეწყობა და ძლიერი კერძო სექტორის ჩამოყალიბება, რაც დამწყები მცირე ბიზნესების და აგრო-ბიზნესის დახმარებით მიიღწევა.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იყო 44 ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება ადგილობრივ თემებში, 210 მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, მინიმუმ 280 სამუშაო ადგილის შექმნა. რუსთავის სამიზნე სკოლებიდან 80 ახალგაზრდა სარგებელს მიიღებს პროგრამიდან, რომელიც მათ ცოდნის გაღრმავების და უნარების გაუმჯობესებას შესთავაზებს.

2021 წლის პროგრამის შედეგები:

- 2021 წლის განმავლობაში პროგრამამ 100 000 ადგილობრივთან იმუშავა და პირდაპირი სარგებელი მოუტანა 37 500 ადამიანს.
- 56 ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდა
- 25 000- მა ოჯახმა მიიღი სარგებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტებიდან და დამატებით 8 660-მა ადამიანმა, რომლებიც პროექტის მოქმედების არეალში არ შედიოდნენ.
- საირიგაციო სისტემებით 1 990-მა ფერმერმა დამატებით 480 ჰექტარი მიწის მორწყვა შეძლო.
- 213 მცირე ბიზნესის წამოწყება დაფინანსდა.
- ბიზნესების 66%-ს მართავენ ქალები
- 2021 წელს ბიზნესების შემოსავალმა ჯამში 256 000 აშშ დოლარი შეადგინა. პროგრამის მე-6 ფაზის განმავლობაში კი 626 000 აშშ დოლარი.
- ბიზნესის მოგება საშუალოდ თვეში 130-640 დოლარია
- 42 ბიზნესოპერატორი იღებს რჩევებს და სწავლობს ბიზნესის მართვის ტექნიკას, სვოტ-ით შეფასებას, ხარჯის აღრიცხვას, მომხმარებლის შეფასების ანალიზს. (ჯამში 200-მა ოპერატორმა გაიარა სხვადასხვა ტიპის სწავლება ბიზნესის მართვის კუთხით)
- ბიზნესების 30%-მა საკუთარ ბიზნესში რეინვესტირება განახორციელა
- 125-მა მეწარმემ შეავსო დეკლარაცია და ჯამში 2 650 აშშ დოლარი გადაიხადა ბიუჯეტში
- 214 ფერმერი გაეცნო სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიებს
- შინაური ცხოველების სიკვდილიანობა და ინფიცირების მაჩვენებელი 80-82%-ით შემცირდა.
- 224-მა ფერმერმა მიიღო მანაწილეობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის და გლობალური დათბობის შესახებ ცნობიერების გაზრდის სესიებში

მცირე ბიზნესის განვითარების პროექტი

ბი-პი (იმ ერთობლივი საწარმოების აქციონერების სახელით, რომელთა ოპერატორიც საქართველოში ბი-პი-ა) დაასრულა მცირე ბიზნესის განვითარების პროექტის მე-3 ფაზის განხორციელება ბაქო-სუფსის მილსადენის გასწვრივ მცხოვრებ 121 თემში. პროგრამის განხორციელება 2018 წლის ივლისში დაიწყო და 2021 წლის დეკემბერში დასრულდა. პროგრამის ბიუჯეტი დაახლოებით 610,620 აშშ დოლარი იყო.

პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მილსადენების გასწვრივ მცხოვრები თემების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას როგორც მცირე ბიზნესის წამოწყების ხელშეწყობით ასევე არსებული მცირე ბიზნესის გაფართოების საშუალებით. ასევე პრიორიტეტულია მეწარმეების უნარ-ჩვევების გაძლიერება. მათთვის ბიზნესის მართვის ცოდნის მიწოდების საშუალებით.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 244 მცირე ბიზნესის ჩამოყალიბება და მინიმუმ 290 სამუშაო ადგილის შექმნა.

- 2021 წლის განმავლობაში პროგრამამ 126 000 ადგილობრივთან იმუშავა და პირდაპირი სარგებელი მოუტანა 16 700 ადამიანს.
- ჯამში პროექტის განმავლობაში 276 მცირე ბიზნესის წამოწყება დაფინანსდა
- 22 არსებული ბიზნესის შემდგომი გაფართოება დაფინანსდა
- ამ ბიზნესების მიერ 290 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნა
- 2021 წელს ბიზნესების შემოსავალმა ჯამში 544 700 აშშ დოლარი შეადგინა. პროგრამის მე-6 ფაზის განმავლობაში კი 921 900 აშშ დოლარი.
- თვეში ბიზნესის მოგება საშუალოდ 100-დან 300 აშშ დოლარამდეა
- დაფინანსებული ბიზნესების 20% -მა საკუთარ ბიზნესში რეინვესტირება განახორციელა
- 2000-ზე მეტი შეხვედრა ჩატარდა ბიზნესებთან სადაც მათ ბიზნესის უკეთ წარმართვის რჩევები მიიღეს
- 130-მა ფერმერმა მიიღო მანაწილეობა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის და გლობალური დათბობის შესახებ ცნობიერების ამაღლების სესიებში

სასპონსორო პროექტები

2021 წლის განმავლობაში ბი-პი-მ სხვადასხვა სოციალური და სასპონსორო პროექტი განახორციელა. მათ შორის:

- ბი-პი საქართველოში პარალიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია. პარტნიორობა 2011 წლიდან დაიწყო და ჩვენმა სპორტსმენებმა მრავალი წარმატება მოუტანეს საქართველოს საერთაშორისო არენაზე, მათ შორის ლონდონის, რიოს და ტოკიოს პარაოლიმპიადებზე.
- ბი-პი-ს მიერ ინიცირებული და დაფინანსებული ინგლისური ენის სწავლების პროგრამაში ბოლო 10 წლის მანძილზე დაახლოებით 600 ადგილობრივი ჟურნალისტი მონაწილეობდა. 2021 წელს 60-მა ჟურნალისტმა დაამთავრა ინგლისური ენის სწავლა ბრიტანეთის საბჭოს მიერ უშუალოდ ჟურნალისტებისთვის შერჩეული პროგრამით.